ბრიტანულ-ქართული აკადემია
BRITISH-GEORGIAN ACADEMY







ბრიტანულ-ქართული აკადემია გთავაზობთ ჰოლისტურ სასწავლო გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ნდობასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით, თავს დაფასებულად გრძნობს და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამომჟღავნება შეუძლია.

BGA provides a holistic learning environment where all members of the community, through building trusting and supportive relationships, feel valued and inspired to be the best they can be.

მაღალი ხარისხის ბილინგვური განათლება

ბრიტანულ-ქართული აკადემია ბილინგვურ სასწავლო გარემოს გთავაზობთ. ჩვენი ამოცანაა, მოსწავლეებმა შეიძინონ ლინგვისტური კომპეტენციები, აკადემიური ცოდნა და აუცილებელი ცხოვრებისეული უნარები, რომელთა განვითარებაც მათ ჩვენს ცვალებად და დინამიკურ სამყაროში უკეთ ორიენტირების შესაძლებლობას მისცემს.



ჰოლისტური განვითარება

ბრიტანულ-ქართული აკადემია გთავაზობთ უნიკალურ საგანმანათლებლო სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის ამოცანებს, დაწყებით საერთაშორისო კურიკულუმსა და საბაზო და საშუალო საფეხურების წამყვან საერთაშორისო პროგრამებს. ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების ეს კომბინაცია მოსწავლეებს ჰოლისტური განვითარების წინაპირობას უქმნის. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ აკადემიური, სოციალური, ემოციური და ინტერ-კულტურული განათლება არსებითია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისთვის.







ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითადი ღირებულებები

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასკოლო საზოგადოება დაფუძნებულია 5 ძირითად ღირებულებაზე, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, არსებითი მნიშვნელობისაა XXI საუკუნის სამყაროში წარმატების მისაღწევად. სწორედ ამ ღირებულებებითაა განსმჭვალული ჩვენი სასწავლო პროგრამები და კლასგარეშე აქტივობები:

- **პასუხისმგებლობა**
- **კომუნიკაცია**
- **კვლევა**
- **ინფორმირებულობა**
- **კრეატიულობა**

საკლასო ოთახებს მიღმა

ჩვენი ძირითადი ღირებულებები და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები კლასგარეშე აქტივობებსა და სასკოლო ღონისძიებათა ფართო სპექტრზეც აისახება. დინამიკური, მრავალფეროვან მეთოდებზე დაფუძნებული სასწავლო გარემო მოსწავლეთა ინტერესსა და ენთუზიაზმს აღვივებს, რაც, თავის მხრივ, ცოდნას ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან აახლოებს.

- სკოლის ჰაუსებს შორის შეჯიბრებები
- საგნობრივი კვირეულები
- ექსკურსიები
- საქველმოქმედო ღონისძიებები
- კლასგარეშე აქტივობები
- მიუზიკლები
- სასცენო წარმოდგენები
- დაჯილდოების ცერემონიები
- სამეცნიერო ღონისძიებები
- გაეროს მოდელირებული სხდომები
- ედინბურგის ჰერცოგის ჯილდო
- საერთაშორისო საგანმანათლებლო ტურები



HIGH QUALITY BILINGUAL EDUCATION

BGA is a bilingual learning environment with a mission to equip students with the linguistic ability, academic knowledge and necessary life-skills required to successfully navigate the increasingly dynamic and challenging world in which they live.



HOLISTIC DEVELOPMENT

BGA offers a unique educational structure which combines the Georgian National Curriculum objectives with those from the International Primary Curriculum and leading international secondary programmes. The amalgamation of local and international best practice allows students to develop holistically. Students appreciate that academic, social, emotional and inter-cultural intelligences must be nurtured if they are to reach and exceed their potential.

BRITISH-GEORGIAN ACADEMY CORE VALUES

Shaping our supportive community ethos and permeating our curricular and extra-curricular programmes are 5 core values that BGA considers fundamental for successful living in the 21st century.

- **RESPONSIBILITY**
- **COMMUNICATION**
- **INQUIRY**
- **AWARENESS**
- **CREATIVITY**



BEYOND THE CLASSROOM

Our core values and curricular objectives are emphasised through a wide range of additional activities and special events. Our dynamic, multi-method approach to education inspires interest and engagement which brings learning to life.

- House Competitions
- Specialist Weeks
- Field Trips
- Charity / Fundraising Events
- After-school Activities
- School Musicals
- Drama Productions
- Awards Ceremonies
- Science Fair
- Model United Nations
- Duke of Edinburgh Award
- International Educational Trips

სწავლის პროცესის მხარდაჭერა

აკადემიის პერსონალი დაკომპლექტებულია საუკეთესო ქართველი და უცხოელი პროფესიონალებით, რომლებიც ხელს უწყობენ ბილინგვური და მულტიკულტურული სასწავლო გარემოს განვითარებას.
ჩვენი კამპუსი განთავსებულია ქალაქ თბილისის თავზე, ლისის ტბის მახლობლად. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საგანმანათლებლო სივრცეები, სამეცნიერო ლაბორატორიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, სპორტული და რეკრეაციული სივრცეები აკადემიას საშუალებას აძლევს სწავლის პროცესი ტრადიციული საკლასო ოთახის საზღვრებს მიღმა გაიტანოს და ინოვაციური, თანამედროვე, მოზარდებისთვის რელევანტური მეთოდოლოგიებით წარმართოს.













FACILITATING LEARNING

BGA employs the best of Georgian and International staff to support its bilingual vision and to emphasise the benefits of a multilingual and multicultural approach to education.

Our campus is located close to Lisi Lake, surrounded by natural hillside. With modern and purpose built facilities, science labs, specialist ICT equipment and spacious outdoor learning areas, BGA extends learning beyond the boundaries of the traditional classroom and explores innovative and relevant pedagogy designed for today's youth.

@BGA.GE

WWW.BGA.GE

info@bga.ge
Tel: 995 32 2 251 253